ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №916998

ნომერი: AR1159753

თარიღი : 06.09.2013

გაცემის თარიღი : 26.09.2013

გაცნობის თარიღი : 01.10.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შმიდტი , N 94 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 51 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 51 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- არჩილ ოჩიგავა პ/ნ 01026003592
- თბილისი პეკინის გამზ. N 3 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს "საირმე პალასი" კოდი: 404888092

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

06.09.2013წ. #არ1159753 განცხადებაზე გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი დოკუმენტაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის შესახებ

ქ.თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06.09.2013წ. #არ1159753 განცხადებით მომართა მოქ. არჩილ ოჩიგავამ და მოითხოვა სამსახურის 20.08.2012წ. #309905 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების ნაწილში, ტექნიკური შეცდომის გასწორება .
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 აგვისოტს #309905 ბრძანებით ქ. თბილისში,საირმის ქ. #51–ში, შმიდტის ქ. #49–ში, შპს „აქსისი“–ს და შპს „საირმე პალასი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: 01.10.15.023.006; 01.10.15.023.019; 01.10.15.023.018) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის მე–2 ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართა. განმცხადებლის ინფორმაციით შეუსაბამობაა პროექტის PDF ფაილებსა და CAD ფაილებს შეორის, სხვადასხვა დანიშნულების ფართების მითითების ნაწილში. კერძოდ, პდფ ფაილებში არაწორად არის დაფიქსირებული ობიექტის საერთო, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართების ციფრობრივი მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურმა დამატებით გადაამოწმა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და დაადგინა რომ, CAD ფაილსა და PDF ფაილს შორის მართლაც არის შეუსაბამობა, თუმცა CAD ფაილშიც არ არის სწორად დათვლილი ბინების ფართები. კერძოდ, ბინების ჯამურ ფართობში არ არის გამოკლებული კოლონების და სხვა მზიდი კონსტრუქციების ფართობები, რაც გამოკლებულია ცალკეული ოთახების ფართების დაფიქსირების დროს. შესაბამისად, სამსახური შეძლებს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას, მას შემდეგ რაც დამკვეთის მიერ წარმდგენილი იქნება ობიექტის არქიტექტურული პროექტის გასწორებული PDF ფაილები, სწორად დათვლილი ფართების ციფრობრივი მაჩვენებლების ექსპლიკაციაში მითითებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სამშენებლო ობიექტის კორექტირებული ნახაზების PDF ფაილები, რომელის ექსპლიკაციებშიც დატანილი იქნება საპროექტო ფართების გასწორებული ციფრობირივი მაჩვენებლები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ,

1. დაევალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სამშენებლო ობიექტის კორექტირებული ნახაზების PDF ფაილები, რომელის ექსპლიკაციებშიც დატანილი იქნება საპროექტო ფართების გასწორებული ციფრობირივი მაჩვენებლები და შესაბამისი განმარტებითი ბარათი.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 06.09.2013წ. #არ1159753 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge